უცხოელი სტუდენტებისათვის

პროგრამა

ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“; სწავლის ხანგრძლივობა - 4 წელი; 4500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

სავიზო მოთხოვნები

სწავლის მსურველმა უნდა გააკეთოს მოთხოვნა გრძელვადიან, D ტიპის საემიგრაციო ვიზაზე სასწავლო მიზნებისთვის. ამისთვის, მას უნდა ჰქონდეს ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის მიერ გაცემული ოფიციალური ჩარიცხვის წერილი.

ვადები:

- ჩარიცხვის პროცედურა - მაქსიმუმ 3 კვირა;
- სავიზო პროცედურა - მაქსიმუმ 4 კვირა

ქართველი მოქალაქეებისა თუ უცხოელებისათვის შეთავაზებული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით , საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს /ბმული https://mfa.gov.ge/ საკონსულო დეპარტამენტმა შექმნა ახალი ვებ-გვერდი /*ბმული* https://www.geoconsul.gov.ge/contact, რომლის საშუალებით შეძლებთ ინფორმაციისა და მომსახურებების მარტივად მიღებას.

საქართველოს საკონსულო სამსახურების სამოქმედო არეალის ვიზუალიზაცია, სადაც შეგიძლიათ იხილოთ სასარგებლო ინფორმაცია, მ.შ. ქვეყნები, რომლის მოქალაქეებისთვისაც **ვიზა საჭიროა ან ვიზა არ არის საჭირო** /ბმული geoconsul.gov.ge/interactive-map/6

მიღების პროცედურები

აპლიკაციისა და რეგისტრაციის წესები და ეტაპები:

- **პირველი ეტაპი: რეგისტრაცია**
  აპლიკანტი ავსებს მატივ **სააპლიკაციო ფორმას** /ბმული/

- **მეორე ეტაპი: დოკუმენტების შეგროვება**
  - ✓ აპლიკანტის ბიომეტრიული ფოტოსურათი (3X4);
  - ✓ აპლიკანტის მიერ უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების მიღების ან საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით საქართველოში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი დამოწმებული ასლი;
  - ✓ თუ აპლიკანტის სახელი და გვარი განსხვავდება ზემოთ მითითებულ

დოკუმენტებში, დამატებით იგზავნება პიროვნების მიერ ინფორმაციის დადასტურება (აფიდავიტი).

- ✓ ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტი;

შენიშვნა: ინგლისური ენის B2 დონის განმსაზღვრელი, საერთაშორისოდ აღიარებული და პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოყენებული სერტიფიკატები: Cambridge exam – B2 level; CEFR B2; IELTS exam – 4; BEC preliminary exam; TOEIC -550; TOEFEL iBT – 42; TOEFEL ITP – 460 და ა.შ). იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი სერტიფიკატი არ არის წინასწარ განსაზღვრულ სიაში, მის დადასტურებ ხორციელდება დარგის ექსპერტთან შეთანხმებით. გარდა ამისა, თუკი აპლიკანტს ნასწავლი აქვს ინგლისურ ენაზე მინიმუმ 1 წლის განმავლობაში, ან ინგლისური არის მისი მშობლიური ენა, ის თავისუფლდება გამოცდისგან ან სერტიფიკატის წარდგენის მოთხოვნისაგან.

➢ მესამე ეტაპი: ინტერვიუ

- ✓ ინტერვიუს აპლიკანტთან ატარებს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელი;
- ✓ ინტერვიუ ტარდება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით Google meet/ Zoom და სხვა პლატფორმა;
- ✓ ინტერვიუს ფარგლებში ფასდება აპლიკანტის მოტივაცია, საჭიროების შემთხვევაში მიეწოდება დამატებით ინფორმაციას და ფასდება აპლიკანტის კომუნიკაციის უნარი ინგლისურ ენაზე (აპლიკანტს შეუძლია ინგლისურად დასმული კითხვის გაგება და ასევე ინგლისურად შესაბამისი პასუხის გაცემა).
- ✓ თუ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურსა და აპლიკანტს შორის ვერ შედგა ინტერვიუ აპლიკანტის მხარეს ტექნიკური შეფერხების (ინტერნეტკავშირი) გამო, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას და აპლიკანტს უგზავნის ინტერვიუს კითხვებს და ინსტრუქციას.

➢ მეოთხე ეტაპი: შიდა გამოცდები (online)

შერჩევის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, აპლიკანტს უტარდება:

- ✓ გამოცდა მათემატიკაში ტესტის მეშვეობით, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, ინგლისურ ენაზე;
- ✓ გამოცდა ინგლისურ ენაში ტესტის მეშვეობით /თუ აპლიკანტი საჭიროებს ინგლისური ენის ცოდნის შეფასება/. აღნიშნული ტესტი, ამოწმებს ინგლისური ენის ფლობის ოთხივე უნარს: წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი და ასევე, ლექსიკა და გრამატიკა. კომპეტენციის დასადასტურებლად აპლიკანტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 50+1 ქულა.

შენიშვნა:

- ✓ ინტერვიუს/ტესტირების წარმატებით ჩატარების შემთხვევაში მზადდება წერილი პირობითი მიღების/ჩარიცხვის შესახებ,
- ✓ სწავლის საფასურის გადახდის ინიცირების შემდეგ, ერთი თვის ვადაში შესრულდება ოფიციალური ჩარიცხვის პროცესები. აპლიკანტი მიიღებს მოწვევის წერილს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ბრძანებაზე დაყრდნობით;

- ✓ სამინისტროს მიერ ბრძანების გამოცემის შემდეგ წარმატებით ჩარიცხულ სტუდენტებს გაეგზავნებათ მოწვევის წერილები.